

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნათია ახალკაცი

ფისკალური დეცენტრალიზაციის თავისებურებანი საქართველოში

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი ვალერი მოსიაშვილი
რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2019 წლის ” _____ ” ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა-ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ასოც. პროფესორი /ლ. ბერიკაშვილი/

Abstract

Dissertation work is dedicated to defining the main directions of identification and perfection of fiscal decentralization in Georgia as well as international experience. The paper consists of 117 pages and includes the "Instructions for the Academic Degree for Academic Degree": title page, signatures page, copyright page, resume, contents, and list of schedules, list of drawings, main text and list of used terraces. The main text, in turn, consists of the introduction, the literature review, the outcome of the examination and conclusion.

In the introduction it is justified the importance of the research topic; The goal and objectives of the research, object and subject, theoretical-methodological basis and information base, scientific innovation are set out; Theoretical and practical meaning of the work is shown, aptitude and publication, volume and structure.

The question of literature is answered and if the following: Where is the problem in the dissertation work, what is already known about this problem, what alternative methods are designed to solve the problem and which ones are used in the present work.

The results and their judgment are presented in paragraph (8).

In the first chapter, "Theoretical-Methodological Basis for Fiscal Decentralization Research" - What does fiscal decentralization involve, how it affects the economy and what difficulties we are dealing with.

In this regard, on the basis of critical assessment of the beliefs in literature, the author's definition of fiscal decentralization is represented, according to which one of the main economic arguments of fiscal decentralization is that decentralized fiscal arrangement is more effective, Because the local government is close to the population, it has more information than the central government and provides the services of its needs. Consequently, local public service planning and delivery is more accurate and purposeful.

In the second chapter - "International Experience of Fiscal Decentralization" - analyzes and analyzes the experience of Georgia and other developing countries, their methods and mechanisms.

Mechanisms of decentralization of different countries, as well as legal and regulatory systems, vary greatly from each other. Local self-governing bodies cannot refuse to exercise exclusive competence because of their effective implementation by attracting public attention. Therefore, if the local government wants to gain public confidence, it should take care of fully compatible with its competencies. Local self-government bodies in Georgia do not possess the necessary funds for their competence. Basic budget revenues are still in the hands of the central government. For the development of self-governance, it is necessary that a significant part of the local budget enter the local taxes. If local taxes are not sufficient for self-governmental powers, the central government should use the Targeted and Equitable Transfer (grants) institution to ensure equal living and high quality of public service across the country.

In the third chapter, "The Main Directions for Fiscal Decentralization in Georgia" is devoted to basic fiscal rules and ways to solve them. The central government has the right to supervise the management of government institutions. In the case of delegated competences, the legitimacy and efficiency of the decision taken shall be examined by the body which has granted the authority. The ways of achieving fiscal decentralization principles are to set up and create of a systematic legislative base where budgetary and fiscal powers of each government are clearly defined.

The effort of the government and the civil society is essential to answer these questions in a timely manner.

სადისტრიბუციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა. მაგალითად, თბილისში რეგისტრირებულ კერძო კომპანიაში ან რომელიმე სახელმწიფო უწყებაში მომუშავე დასაქმებულისთვის (რომელიც რეგისტრირებულია (ჩაწერილია) სხვა რომელი მემუნიციპალიტეტში) დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხის გადარიცხვა უნდა მოხდეს დასაქმებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, სხვადასხვა სახაზინო კოდზე, რაც გართულებს დამსაქმებლის ფინანსურ მენეჯმენტს და მისი ადმინისტრირება საკმაოდ რთული იქნება.

ამასთან, რთულია წინასწარი გათვლების გაკეთება, რადგან საჭიროა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელების სრული ბაზის დეტალური ანალიზი. რაც შეეხება ჩვენს ხელთ არსებულ სტატისტიკას, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შედარებით ზუსტია, მაგრამ რთული იქნება მათ მიერ გადახდილი პოტენციური საშემოსავლო გადასახადის ოდენობის დათვლა, რადგან ინფორმაცია რეგიონებში ხელფასების შესახებ არ მოიპოვება. სახელმწიფო სექტორს გარეთ დასაქმებულების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით არის შეფასებითი. რთული იქნება ფილიალებში დასაქმებულების რაოდენობის გარკვევა, რადგან ამაზე ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საშემოსავლო გადასახადის ადგილზე დატოვების გადაწყვეტილება მნიშვნელოვან ცვლილებებს

გამოიწვევს რესურსების განაწილებაში; იგი შეამცირებს/აღმოფხვრის ვერტიკალურ უთანაბრობას ზოგიერთი თვითმმართველობისთვის (მაგალითად: თბილისი, ბათუმი), მაგრამ ვითარება არ შეიცვლება თვითმმართველობის უმრავლესობაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბილისში რეგისტრირებულია მოქმედი საწარმოების და დაწესებულებების უმეტესობა თბილისზე მოდის, ამავ დროულად დასაქმებულთა უმრავლესობაც თბილისშია, ვიდრე სხვა რეგიონებში.

საჯარო ფინანსების პრაქტიკა ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლების უამრავ მაგალითს გვთავაზობს, თუმცა ადგილზე ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას გააჩნია თავისი შეზღუდვები. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- საგადასახადო ბაზა არ უნდა იყოს მობილური (მოძრავი), წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება მისი მიგრაციის ალბათობა;

- საგადასახადო ბაზა უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა თვითმმართველობაში;

- ადგილობრივი გადასახადი უნდა იყოს თვალსაჩინო. რეზიდენტებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ მათი საგადასახადო ვალდებულება, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას;

- გადასახადი არ უნდა იყოს ექსპორტირებადი, ანუ გადასახადის გადამხდელსა და ადგილობრივი სერვისების მიმღებს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი;

- ადგილობრივი გადასახადის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზაცია. აღნიშნული აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ილუზიური ფისკალური ფედერალიზმი;

- შემოსავალი უნდა იყოს სტაბილური. სასურველია რომ შემოსავლების ოდენობა არ იყოს დამოკიდებული ეკონომიკის ციკლზე და რყევებზე;

- ადგილობრივი გადასახადი უნდა იყოს იოლად ადმინისტრირებადი.

კვლევის მეცნიერული სიახლე. დისერტაციაში გამოკვლეულია ფისკალური დეცენტრალიზაციის თავისებურებანი საქართველოში, რომელიც

რიგი სირთულეებით და წინააღმდეგობით ხასიათდება. კვლევის შედეგად გამოვლენილია საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. დისერტაციაში მოცემულია ფისკალური დეცენტრალიზაციის ოპტიმიზაციის პრაქტიკული საკითხები. ასევე შემუშავებულია საგადასახადო შემოსავლების გადანაწილების ოპტიმიზაციის მექანიზმი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ ფისკალური დეცენტრალიზაციის არსებულ მდგომარეობას პოსტსოციალისტურ და განვითარებულ ქვეყნებში. გამომდინარე იქიდან, რომ ფისკალური დეცენტრალიზაცია მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი უფლებამოსილების დელეგირებას, შემოთავაზებულია აღნიშნული პროცესი (ფისკალური დეცენტრალიზაციის) განხორციელდეს მსოფლიოში აპრობირებული და საუკეთესო პრაქტიკით დადასტურებული მოდელის შესაბამისად, რისთვისაც ვფიქრობთ ოპტიმალურია კანადის (რაც გულისხმობს ჰარმონიზებული საშემოსავლო გადასახადების ადმინისტრირებას) და უნგრეთის (ერთი პროცენტის კანონი) მაგალითი, რომელიც დადასტურებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით. აღნიშნულის რეალურად განხორციელება შედეგად მოგვცემს ფინანსურად დამოუკიდებელ, ეკონომიკურად ძლიერ რეგიონს, რაც მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის პრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება

დისერტანტის მიერ დადგენილია საქართველოში, ფისკალური დეცენტრალიზაციაზე ორიენტირებული სიახლეების დანერგვის აუცილებლობა, კერძოდ:

- ❖ ცენტრსა და რეგიონს შორის მიღწეული იქნეს სამართლიანობა და თანაბარუფლებიანობა ეროვნული სიმდიდრის შექმნასა და განაწილებაში; შემუშავდეს ე.წ. საგადასახადო ჰარმონიზაციის სქემები, რომლებიც უფლებას მისცემს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ მთავროებას დაადგინოს თავისი საკუთარი განაკვეთი საერთო საგადასახადო ბაზაზე;

- ❖ მოხდეს ანგარიშგება მოსახლეობის მიმართ, რათა გარანტირებული იქნეს სახელმწიფო ფინანსური რესურსის ხარჯვა საზოგადოების ინტერე-

სების შესაბამისად;

❖ უზრუნველყოფილი იქნას მოქალაქეთა მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას, გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე;

❖ განხორციელდეს ტექნიკური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა მან შეიძინოს ფინანსების მართვის ცოდნა და გამოცდილება;

❖ უზრუნველყოფილი იქნას საბიუჯეტო დანახარჯების ოპტიმიზაცია ხარისხიანი და იაფი საჯარო მომსახურების მისაღწევად.

ფისკალური დეცენტრალიზაციის პრინციპების მიღწევის გზებია გამართული და სისტემური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული ხელისუფლების თითოეული რგოლის საბიუჯეტო და ფისკალური უფლებამოსილებანი.

სამუშაოს მიზანი. *გამოკვლევის მიზანია* საქართველოს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულებია (განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე) ფინანსური მდგრადობისა და სტაბილურობის შესწავლა, მისი საკანონმდებლო ბაზის ვარგისობის შეფასება და ღონისძიებების შემუშავება მისი სრულყოფისთვის.

გამოკვლევის დანიშნულება არის ახალი სფეროს, ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელის გამოყენებით ქვეყანაში ამ კუთხით არსებული ფინანსური - საგადასახადო- იურიდიული დარვევებისა და სისუსტეების პრევენცია, შემცირება და სრული აღმოფხვრა.

ქართული სახელმწიფო აშკარად საჭიროებს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების არსებობას. აუცილებელია, არსებობდეს ვერტიკალური კოორდინაცია ხელისუფლების სხვადასხვა - ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ - დონეებს შორის (მაგალითად, ადგილობრივ დონეზე მშენებლობის ნებართვის გაცემა კოორდინირებული უნდა იქნეს მიწის მართვის ეროვნულ პოლიტიკასთან).

თვითმმართველობის ორგანოებს მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა

ჰქონდეთ ჰორიზონტალური კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს საერთო სტანდარტების, ურთიერთ მხარდაჭერის და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას. ჰორიზონტალური კოორდინაცია ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წარმატება.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ფისკალური დეცენტრალიზაციამ უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის გატარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ადგილობრივი თვითმმართველობა მაშინ არის ეფექტიანი, როცა იგი უფლებებსა და პასუხისმგებლობასთან ერთად მნიშვნელოვან რესურსებსაც ფლობს.

თვითმმართველობის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი გადასახადებიდან შემოდის. თუ ადგილობრივი გადასახადები არ არის საკმარისი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მიზნობრივი და გამოთანაბრებითი ტრანსფერების (გრანტების) ინსტიტუტი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ცხოვრების თანაბარი პირობები და საჯარო მომსახურების მაღალი ხარისხი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფისკალური დეცენტრალიზაციის უმთავრესი პირობაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჰქონდეს ადგილობრივი გადასახადის და მოსაკრებლების შემოღების უფლება (როგორც მომსახურებაზე, ასევე სხვადასხვა სახის ნებართვების გაცემაზე). თუმცა მაღალ მაღალი გადასახადები მმართველ პარტიას ამომრჩეველთა ხმების დაკარგვით ემუქრება.

ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გავლენა ადგილობრივი გადასახადის ამკრეფ სამსახურებზე. გადასახადების ამკრეფი სამსახურების მკვეთრად ცენტრალიზაციის შემთხვევაშიც კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აკონტროლონ ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის შევსება და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვან შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებლობის საკითხი.

ფისკალური დეცენტრალიზაციის განხორციელება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული ამოცანაა. ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული:

□რა უნდა იყოს ბალანსი ადგილზე მიღებულ შემოსავლებსა და ცენტრალური მთავრობიდან მიღებულ სახსრებს შორის;

□რა მექანიზმების თუ ფორმულის გამოყენებით უნდა განაწილდეს ცენტრალური მთავრობის ტრანსფერები;

□რა მოცულობით უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელი გადასახადების აკრეფაზე.

აუცილებელია ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევა, რათა ამ კითხვებზე დროულად იქნეს გაცემული პასუხი.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. *კვლევის ობიექტად*, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოდის ფისკალური დეცენტრალიზა. *კვლევის საგანია* ფისკალური დეცენტრალიზაციის თავისებურებები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.

კვლევის მეთოდები. *კვლევის პროცესში გამოყენებულია* ისეთი მეთოდების ერთობლიობას, როგორცაა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპი, სისტემურ მიდგომა, შედარებით ანალიზი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის ხერხები. ნაშრომში გამოყენებულია დაჯგუფების, შეფასებისა და ანალოგიის მეთოდები.

ისტორიული მეთოდი - გამოყენებული გვაქვს პირველი და მეორე თავის ორ ქვეთავში თავში, სადაც განხილული გვაქვს ფისკალური დეცენტრალიზაციის განვითარების ეტაპები საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე, შესწავლილი გვაქვს ფისკალური დეცენტრალიზაციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების კუთხით მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები კანადის, უნგრეთის, ესტონეთის მაგალითზე.

კვლევის ლოგიკური მეთოდი - გამოყენებულია დისერტაციის მეორე და მესამე თავის შესაბამისად მესამე და მეორე ქვეთავში, რაც თავისთავად

გულისხმობს *რთული ობიექტის/სისტემის რეტროსპექტივას სამეცნიერო აღწარმოება თეორიული ანალიზის საფუძველზე* - ნაშრომში კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ანალიზი აქვს გაკეთებული საქართველოში და მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფისკალური დეცენტრალიზაციისთანამედროვე მდგომარეობას.

პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდი გამოყენებულია დისერტაციის მესამე თავში, კერძოდ პირველ და მეორე ქვეთავში მეორე და მესამე ქვეთავში, სადაც აღწერილია საქართველოში ცენტრსა და რეგიონს შორის საგადასახადო შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების არსებული პრაქტიკა, მოცემულია არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებები მსოფლიოში აპრობირებული, შედეგზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით;

ანალიზისა და სინთეზის მეთოდი გამოყენებულია მესამე თავის მესამე ქვეთავში, რომელიც მდგომარეობს *ობიექტის ან/და მოვლენის შემადგენელ სეგმენტებად გამოყოფა აზრობრივად ე.ი. თითოეული სეგმენტის, ნიშან-თვისებების თვისებების გამოყოფა. სინთეზის მეთოდი, კი წარმოადგენს აზრობრივად განსხვავებული ელემენტების, მისი ნაწილების/ნიშნების ერთობლიობაში გაერთიანება. ორივე აღნიშნული მეთოდი (ანალიზი-სინთეზი) კვლევის პროცესში, როგორც წესი კომპლექსურად არიან ურთიერთდაკავშირებული.*

კვლევის თეორიულ საფუძველს შეადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებისა ბანკო კონკურენციის საკითხებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების ანალიტიკური ანგარიშები, საბანკო კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები.

კვლევის ემპირიული ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-სტა-

ტისტიკურ და ანალიტიკურ მასალებს; ქართველი ავტორების მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მონაცემებს; ინტერნეტის ქსელის, საინფორმაციო და სარეიტინგო სააგენტოების რესურსებს; დისერტანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო. სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული წინადადებების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიუჯეტშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას, ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა ოპტიმალურ განაწილებასა და.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ავტორის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები, განზოგადებები და დასკვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კანონშემოქმედებით საქმიანობაში - საგადასახადადო შემოსავლების ოპტიმალური განაწილების საქმეში, აგრეთვე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობაში შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო ანგარიშების მომზადებისას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან და მთლიანობაში კომპიუტერული ნაბეჭდი 117 გვერდისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა, მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აპრობაცია და პუბლიკაცია, მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვაში პასუხია კითხვაზე, თუ საიდან მომდი-

ნარეობს კვლევისთვის შერჩეულ ნაშრომში წამოჭრილი პრობლემა, რა თეორიული დებულებები თუ პრაქტიკული გამოცდილებაა უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა მეთოდების გამოყენებაა საჭირო არსებული ნაკოლავენებების მოსაგვარებლად.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „ფისკალური დეცენტრალიზაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ - განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ფისკალური დეცენტრალიზაცია და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, ფისკალური დეცენტრალიზაცია და ეკონომიკური ფედერალიზმის პრობლემები ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში, საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის როლი ფისკალურ დეცენტრალიზაციის პროცესში.

შესწავლილია ფისკალური დეცენტრალიზაციის თეორიული დებულებები უახლესი უცხოურ ენოვანი ლიტერატურის შესწავლა ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულია, რომ "ფინანსური დეცენტრალიზაციის" კატეგორია არ არის იდენტური "ფისკალური ფედერალიზმის" კონცეფციას. დეცენტრალიზაცია არის მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ტერიტორიული ინტერესების ბალანსის მიღწევას ბიუჯეტის სისტემის დახმარებით. დეცენტრალიზაცია გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურობის ამაღლებას, კერძოდ, საზოგადოებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების უფრო სრულ და უკეთეს კმაყოფილებას, საჯარო საქონლის შექმნისა და მისი ფუნქციების შესრულების ხარჯების შემცირებას. თუ დეცენტრალიზაცია არ არის კონსტრუირებული და არ არის ადაპტირებული ქვეყნის სპეციფიკა, მაშინ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ნაკადების ეფექტურობისა და დისბალანსის შემცირება.

რაც შეეხება ფინანსურ დამოუკიდებლობას, აქაც საჭიროა ბალანსიც. ერთის მხრივ, თუ დამოუკიდებლობის შეზღუდვები ძალიან ვიწროა, ანუ, ტერიტორიული ორგანოები, არ აქვთ რესურსები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება განთავისუფლდეს, რის საფუძველზეც ბიუჯეტში დამოუკი-

დებელი გადაწყვეტილებები შეიძლება გაკეთდეს, ფედერალიზმი არ არის ეკონომიკური შინაარსი, მაგრამ მეორეს მხრივ, გადაჭარბებული ფინანსური ავტონომია შეიძლება დაკავშირებული იყოს სეპარატისტული, ნაციონალისტური ტენდენციების, პოლიტიკური ქაოსის განვითარებასთან.

არსებობს მრავალი განმარტება: ეკონომიკური ფედერალიზმი, ფისკალური ფედერალიზმი, ფინანსური ფედერალიზმი და ა.შ. ამავდროულად, ყველა წარმოდგენილი განმარტებით, არსებობს რაღაც საერთო ფედერალიზმი, რომელიც დამახასიათებელია სპეციალური ურთიერთობების (საქმიანობა, ურთიერთქმედება, რეგულირება) დამახასიათებელი ნებაყოფლობითობის, თანხმობის, კომპრომისის, საზოგადოებისა და მთავრობის სხვადასხვა დონის თანაარსებობის საფუძველზე. ზემო აღნიშნული განმარტებები განსხვავდება ურთიერთდამოკიდებულების სფეროში, ისევე როგორც მეთოდებსა და ინსტრუმენტებში, რომლებიც გამოიყენება მათ რეგულირებაზე. ამრიგად, ერთის მხრივ, ფისკალური ფედერალიზმი არის საფუძველი, რომ მთავრობათაშორისი ურთიერთობები ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად ფედერალურ სახელმწიფოში, მეორეს მხრივ, ფისკალური ფედერალიზმი და მისი ძირითადი პრინციპები ყველაზე მკაფიოდ გამოხატული და განხორციელებულია სამთავრობათაშორისო ურთიერთობების სისტემაში.

იმისათვის, რომ ძალაუფლების ასეთი გაყოფა შესაძლებელი იყოს, ფედერალურ ქვეყნებში ყველა ტიპის საჯარო ხელისუფლება, უნდა იყოს ფედერალური ან რეგიონალური ძალა, რომელიც დაქვემდებარებულია საგადასახადო ავტონომიით, თავის მხრივ, და ეფუძნება ქვე-ფედერალური ბიუჯეტის საგადასახადო ბაზის გაყოფას. ბევრ ფედერალურ ქვეყნებში საგადასახადო და დანახარჯების მზგავსი განაწილება მოდის სუბსიდიარობის ე.წ. პრინციპიდან. სქემატური თვალსაზრისით, ეს პრინციპი გულისხმობს მაქსიმალურად და ეკონომიკურად გამართლებული უფლებამოსილების გადაცემას, პირველ რიგში ადგილობრივ თვითმმართველობას, შემდეგ კი რეგიონულ ძალაუფლებას, ხოლო შემდეგ - რა დარჩა - ფედერალურ ხელისუფლებაში.

მართალია, ამ მიდგომის იდეოლოგია შორს არის წმინდა ეკონომი-

კური გაანგარიშებისაგან, თუმცა ზოგიერთი ფუნქცია, მართლაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო ეფექტურად შესრულებულია ადგილობრივ დონეზე და სხვები ფედერალურ დონეზე.

დეცენტრალიზაციის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი არგუმენტი ისაა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მოსახლეობის სიახლოვე და მათ შორის ხშირი ურთიერთქმედება საშუალებას იძლევა კომუნიკაციის არხების ფორმირებას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების გამოხატვა. გარდა ამისა, ასეთი მუდმივი და ღია კომუნიკაცია ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას მათი მოქალაქეებისათვის. ადმინისტრაციული ავტონომია ქმნის წინაპირობებს სწავლის, ახალი მიდგომების ძიების, მენეჯმენტის ზოგადი ხარისხის გაუმჯობესებას. დეცენტრალიზებული სისტემები უფრო სტაბილურობას იძლევა, რადგან ადგილობრივი ავტონომიები ზღუდავს ცენტრის შესაძლებლობას ფისკალურ ან მონეტარულ პოლიტიკას თავისი შეხედულებისამებრ. რეალური დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შეზღუდვების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაკონტროლებას, იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას. დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ბაზრების შენარჩუნებას და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

საგადასახადო ბაზის არათანაბრად გადანაწილება, საგადასახადო ორგანოს დეცენტრალიზაციის პირობებში კიდევ უფრო გაზრდის მდიდარ და ღარიბ ტერიტორიებს შორის არსებულ სივრცეს. რესურსების არათანაბარი განაწილება ემსახურება როგორც მნიშვნელოვან არგუმენტს გათანაბრების სასარგებლოდ, მაგრამ საგადასახადო ბაზის დეცენტრალიზაციის გზით. საგადასახადო ბაზრის დეცენტრალიზაციის გზით მცდელობებმა შეიძლება გამოიწვიოს დეფიციტი ბიუჯეტის ზრდასა და "ფედერალიზაციის" "რეგიონალიზაციის", რაც გამოიწვევს მნიშვნელოვან ვერტიკალურ ხარვეზსა და მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას.

მენეჯმენტური დეცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია ინტერესებში, ძირითადად, იერარქიული

სტრუქტურის ზედა დონეზე.

საჯარო სექტორში ხასიათდება სხვადასხვა მართვის იერარქიები, მათ შორის, რომლებიც სტრუქტურულად პირველ რიგში ტერიტორიულ კონტექსტშია. მათი რაციონალური მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ როგორც ეს არ არის კონკრეტული საჯარო სექტორის ეკონომიკისთვის. თვალსაზრისით ეკონომიკური თეორია ამ შემთხვევაში ფედერალიზმის კონკრეტული პრობლემა არ არის, მაგრამ პრინციპული პრობლემის ერთ-ერთი ვარიანტი - აგენტი.

არც ეკონომიკურად, არც სამართლებრივად და არც პოლიტიკურად ფედერალიზმი არ შეზღუდა ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას. ეს აშკარაა, თუ რამდენად შევადარებთ ფედერალურ ურთიერთობებს ტერიტორიული დეცენტრალიზაციის იმ ფორმებთან, რომლებიც შეიარაღებულ ძალებსა და რაიონულ მეთაურებს შორის ტრანსნაციონალური კომპანიების პრეზიდენტებთან, ეროვნული და რეგიონალური ოფისების ხელმძღვანელებთან ურთიერთობებში შედიან და ა.შ. ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის ნაწილის თანახმად, ტერიტორიული ლიდერები პასუხისმგებელ გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ ისინი პირდაპირ იმოქმედებენ მოცემული იერარქიული სტრუქტურისა და მთელი ინტერესების სახელით, კერძოდ, უფლებამოსილია და რესურსებით.

ამის საპირისპიროდ, რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოების ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვეყნების შემადგენელი ორგანოები წარმოადგენენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები გადასახადის გადამხდელის ამომრჩევლების ინტერესებს. ეს ორგანოები ქმნიან საკუთარ პოლიტიკას ელექტორატის სახელით და გამოიყენონ ძალაუფლების იძულება საკუთარი კანონმდებლობის საფუძველზე, განახორციელონ იგი. ეს პოლიტიკა იძენს კონკრეტულ გამოხატვას გადასახადებსა და საბიუჯეტო ხარჯებში.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ სახელმწიფო თუ ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის დონეზე ბიუჯეტის ფორმირების წარმატებები და მისი შესაბამისი ადეკვატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის

გატარების ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების სიმტკიცეზე, ბიუჯეტის სისტემასა და მის ანგარიშვალდებულებაზე.

დაგეგმვა და პროგნოზირება მეცნიერულად დასაბუთებული საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც სახელმწიფოს საქმიანობა მხოლოდ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებით იქნებოდა შემოფარგლული. საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის ამოცანაა ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევად სხვადასხვა ვარიანტების განხილვის, შეფასებისა და ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებისათვის შესაძლებლობების შექმნა.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სხვადასხვა დონეების დაგეგმვის საფუძველზე ხდება მთელი ქვეყნის, მისი სუბიექტების და მუნიციპალური დაწესებულებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირება და მომდევნო წლების ყველა დონის ბიუჯეტთა პროექტების შედგენა. საბიუჯეტო-საგადასახადო დაგეგმვის შესახებ ავტორთა უმეტესობის შეხედულებებით საგადასახადო დაგეგმვა განიხილება, როგორც გადასახადებისა და საბიუჯეტო სისტემის სხვა შემოსავლების მაქსიმალურად შესაძლო ოპტიმიზაციისა და დაბეგვრის პრინციპების განხორციელების ღონისძიებათა ერთობლიობა.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „**ფისკალური დეცენტრალიზაციის საერთაშორისო გამოცდილება**“ განიხილება შემდეგი საკითხები: ფისკალური დეცენტრალიზაცია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში; ფისკალური დეცენტრალიზაციის თავისებურებანი განვითარებულ ქვეყნებში.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია უცხოური, გამოცდილებები შესაძლებლობები და შეფასებები.

გაანალიზებულია, რომ მსოფლიოს გარშემო, მრავალი ქვეყნის ხელისუფლებას გააზრებული აქვს მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ფასი. შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესაძლებლობების გასაძლიერებლად ბევრმა მათგანმა შექმნა დაფინანსების

ინსტიტუტები. ეს ინსტიტუტები სხვადასხვაგვარი ფორმით გვევლინება. მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი ინვესტიციის განხორციელება სამოქალაქო სექტორში. ხელისუფლების მიერ სამოქალაქო საზოგადოებაში ინვესტირება არის იდეალური საშუალება ორგანიზაციებისათვის ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და მიიღონ მონაწილეობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნების მირწევის პროცესებში, ვინაიდან სწორედ სსო-ები არიან ის პარტნიორები, რომლებიც კარგად იცნობენ მოსახლეობას და გააჩნიათ საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული და ღირებული პროდუქტის მიწოდების უნარი.

ბოლო ათწლეულში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელისუფლების უწყებებსა და სს-ებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ამ ქვეყნებში შეინიშნება ურთიერთთანამშრომლობის გაფართოების, მისი ფორმების დახვეწისა და ინსტიტუციონალიზაციის გზით დანერგვის ტენდენცია. არსებული თანამშრომლობის ფორმები ინსტრუმენტებისა და მექანიზმების მთელ წყებას მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებმა უზრუნველყვეს სამოქალაქო სექტორი ხელსაყრელი სამართლებრივი ბაზით, რომელიც ორგანიზაციებს დაფუძნების, მოქნილობისა და მდგრადობის საფუძველს უქმნის. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა გააძლიერეს ორგანიზაციების მხარდაჭერა სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუციით გამოყოფილი გრანტების მეშვეობით. ხოლო რას ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ შექმნეს სექტორის განვითარების ხელშემწყობი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები (ხორვატიის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული ფონდი, უნგრეთის ეროვნული ურთიერთთანამშრომლობის ფონდი, პოლონეთის სამოქალაქო ინიციატივების დაფინანსების პროგრამა (FIO) და ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი (NFCS).

კვლევაში წარმოდგენილ ქვეყნებს აქვთ დიდი გამოცდილება სახელმწიფო დაფინანსების წარმატებული მოდელის შექმნაში. ესტონეთი და პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების

მდგრადი განვიტარების ინდექსის თანახმად, არიან ლიდერი სახელმწიფოები არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყებს შორის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ორივე ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ ხელსაყრელი სამართლებრივი გარემოთი და განვიტარებული ინფრასტრუქტურით.

კვლევამ გვიცვენა, რომ ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა ყოვისმომცველი პოლიტიკის დოკუმენტები სახელმწიფო დაფინანსების ინსტიტუციონალიზაციის მხარდასაჭერად. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ესტონეთი) ან მთავრობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ხორვატია) შორის დადებულ ორმხრივი ხელსეკრულებებისა და მთავრობის მიერ მიღებული ცალმხრივი სტრატეგიების სახით, (უნგრეთი, პოლონეთი) თითოეული მათგანი საფუძვლად უდევს ფონდების დაარსებას და როგორც წესი წარმოადგენს ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ დოკუმენტს ან კანონმდებლობას.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - „ფისკალური დეცენტრალიზაციის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში“ განიხილება შემდეგი საკითხები: ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში; ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში; ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ავტორს შემოთავაზებული აქვს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ამასთან, ადგილობრივი მთავრობები ამ რესურსების ხარჯვაზე ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ ამომრჩევლების წინაშე, რისი წინაპირობაც ფისკალური ავტონომიაა. ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმას, სხვა ფუნდამენტური რეფორმების მსგავსად, გააჩნია როგორც

პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მხარე. ფისკალური დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური არგუმენტი ის არის, რომ დეცენტრალიზებული ფისკალური მოწყობა უფრო ეფექტურია, რადგან ადგილობრივი მთავრობა ახლოსაა მოსახლეობასთან, აქვს მეტი ინფორმაცია ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებას და მისი საჭიროებების შესაბამისს მომსახურებას გასწევს.

ფისკალური დეცენტრალიზაცია ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რეფორმა გახდა. პოლიტიკური დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია ადგილობრივი მთავრობის ფისკალური ავტონომია. ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაიარა ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ყველა ქვეყანა. მთავრობათაშორის ფისკალური ურთიერთობის ძირითადი მიზანი თითქმის ყველგან არის ერთი - მიხწეულ იქნას რესურსების ეფექტიანად განთავსება და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ფინანსური საშუალებები განახორციელონ მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს გადასახადებისა და ხარჯების გადანაწილება. სუბნაციონალური ფისკალური მოწყობის კომპონენტები არის, ადგილობრივი გადასახადები, გრანტები, ადგილობრივი მოსაკრებლები. ყველა ქვეყანაში სისტემები არის განსხვავებული. არსებობს შემდეგი სისტემები: დომინანტური ქონების გადასახადი, რომელიც ფორმირდება ქონების გადასახადიდან; დომინანტური საშემოსავლო გადასახადი, რომლის დასაბეგრი ბაზა განსაზღვრული არის რეზიდენტების შემოსავლებიდან; შერეული, რომელიც გამოიყენება ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის დროს; თვითმმართველობის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, რაზეც უფლებამოსილება გააჩნია ადგილობრივ ხელისუფლებას.

როგორც წესი თვითმმართველი ერთეულისა და სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებლობები ფორმულირებული არ არის. ხშირ შემთხვევაში საოპერაციო და სტრატეგიული გეგმების არარსებობა ართულებს ორგანიზაციული საერთო მაჩვენებლების დასახვას.

საქართველოში 2025 წლისთვის თვითმმართველობა ისარგებლებს

მოქალაქეთა მაღალი ნდობით ადგილობრივი განვითარების მოგვარების საკითხებში. თვითმმართველობები ეფექტურად უპასუხებენ მოსახლეობის ფართო სპექტრს. თვითმმართველობა უზრუნველყოფს სერვისთან ხელმისაწვდომობას და მის მაღალ ხარისხს. იგი აქტიურად იზრუნებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მას ასევე გადაცემული იქნება ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება უფრო ეფექტის მომცემი იქნება. ამასთანავე მათ მფლობელობაში იქნება აუცილებელი ქონება და გაზრდილი ფინანსური სახსრები. თვითმმართველობები დახარჯავენ მთლიანი შიდა პროდუქტის 7-8% (დღევანდელი მდგომარეობით კი შეადგენს დაახლოებით 4 %).

ფინანსთა სამინისტროს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოუწევს. დატოვოს საშემოსავლო გადასახადი ადგილზე დაბეგრის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე თუ ფიზიკური პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ადგილობრივი გადასახადიდან გამომდინარე უფრო ეფექტური იქნება თუ ეს მოხდება გადამხდელის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რადგან ფიზიკური პირები მომსახურებას იღებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამის შესაბამისად ისინი ანგარიშვალდებულნი იქნებიან საკუთარი თვითმმართველობის წინაშე. ასევე აღსანიშნია, რომ საქართველოში არ არის ჩაწერის ვალდებულება, ამიტომ ბევრი დასაქმებული არის ჩაწერილი ერთ ადგილზე და მომსახურებას სხვაგან იღებს. თუ საშემოსავლო გადასახადი დარჩება რეგისტრაციის ადგილის შესაბამისად, მაშინ დამსაქმებელი იძულებითი იქნება სათითაო დასაქმებულზე დაკავებული გადასახადი გადაიხადოს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. თუ თბილისში რეგისტრირებულ კერძო კომპანიაში მომუშავე ჩაწერილია სხვა მუნიციპალიტეტში მისი საშემოსავლო გადასახადი გადაირიცხება დასაქმებულის ადგილის რეგისტრაციის მიხედვით, რა თქმა უნდა სხვადასხვა სახაზინო კოდზე. ეს ყოველივე კი გაართულებს კომპანიის ან სახელმწიფო ფინანსურ მენეჯმენტს. რაც გამოიწვევს საშემოსავლო გადასახადი სრული ბაზის გადამხდელთა სიის ანალიზს.

რაც შეეხება ჩვენს ხელთ არსებულ სტატისტიკას, სახელმწიფო სექ-

ტორში დასაქმებულების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შედარებით ზუსტია, მაგრამ რთული იქნება მათ მიერ გადახდილი პოტენციური სამემოსავლო გადასახადის ოდენობის დათვლა, რადგან ინფორმაცია რეგიონებში ხელფასების შესახებ არ მოიპოვება. სახელმწიფო სექტორს გარეთ დასაქმებულების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით არის შეფასებითი. რთული იქნება ფილიალებში დასაქმებულების რაოდენობის გარკვევა, რადგან ამაზე ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს (დასაქმების სტატისტიკას აქვს ფილიალების პრობლემა). საჭირო იქნება კომპანიების დონეზე ინფორმაციის გამოთხოვა, რაც საკმაოდ რთული და ფაქტიურად შეუძლებელია. არიან მსხვილი დამსაქმებლები, რომლებსაც დიდი ქსელი და ბევრი ფილიალი აქვთ და შესაბამისად, დასაქმებული ჰყავთ ადგილობრივი მოსახლეობა.

დასკვნა. გამოკვლევა, რომელიც ჩვენ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ჩავატარეთ, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები და დავსახოთ მდგომარეობის გასაუმჯობესებელი წინადადებები:

1. ჩამოაყალიბოს სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები სახელმწიფო დაფინანსების გზით, რათა მთავრობებმა უზრუნველყვეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩამოაყალიბდეს მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორებთან, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან მოსახლეობის საჭიროებებთან და გააჩნიათ საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული და ღირებული პროდუქტის მიწოდების უნარი.

2. წარმოდგენილია, რომ ქვეყანათა უმრავლესობამ შექმნა პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი კომიტეტები, რათა ხელი შეუწყონ სსო-ებისა და სახელმწიფო იქნას მიღწეული იმ ქვეყნებში სადაც ეს კომიტეტები აქტიურად მუშაობენ სტრატეგიისა განხორციელების და მონიტორინგზე.

3. გაანალიზებულია, რომ სახელმწიფო დაფინანსების ფონდები წარმოადგენდა ზოგადი სტრატეგიის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

4. ავტორს შემოთავაზებული აქვს , ბევრი ქვეყნის მზგავსად საქართველოშიც შემუშავებული იქნას დამატებითი რეგულაციები, რათა უზრუნველყონ გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება გრანტების გაცემის პროცესი, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის აზრი და შეხედულება.

5. გაანალიზებულია, რომ დოკუმენტში განხილულ ყველა ქვეყანაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ფინანსური მხარდაჭერით, როგორცაა სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობები, საქველმოქმედო ფონდები, სააგენტოები, ცენტრები და ა.შ. რაც ადასტურებს, რომ ერთიანი ფონდის დაფუძნება ხელს არ უშლის სხვა სახელმწიფო რესურსების არსებობას.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 –
2. კოლოკვიუმი 2 –

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“- „ფისკალური დეცენტრალიზაციის განვითარების ტენდენციები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში“, თბილისი , #4-2018.;
2. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“-ფისკალური დეცენტრალიზაციის კანონზომიერებანი და ეკონომიკურ გარემოზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის თეორიული ასპექტები“-ქარელი -#1/2-2018.;
3. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“-ფისკალური დეცენტრალიზაციის საერთაშორისო და ქართული გამოცდილება“-#3 ISSN-2587-5000, თბილისი 2018.;
4. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“- „საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის როლი ტერიტორიული ერთეულების ფინანსების ორგანიზაციის პროცესში“ თბილისი #4- ISSN: 2587-5000. 2018.;
5. „THE IMPACT OF FISCAL DECENTRALIZATION ON THE ECONOMY“- თბილისი-ოდესსა 24 თებერვალი ,2017 ISBN 978-9934-8643-3-9.;
6. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიუჯეტის გამჭვირვალობა“-ნოვოსიბირსკი,18-21 აპრილი ,2017. ISBN 978-5-88742-144-5.;

კონფერენციები:

1. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და

ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“-ფისკალური დეცენტრალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში“- თბილისი 24-25 მაისი,2019.;

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისათვის“-„დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული ფინანსების თანაფარდობის სამართლებრივი საკითხები“-ბაქო, აზერბაიჯანი 22-24 თებერვალი ,2019.;
3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ფისკალური დეცენტრალიზაციის არსი და საერთაშორისო გამოცდილება“ პოლიტიკისა და მთავრობათაშორისო ურთიერთობების მიმოხილვა საქართველოში“-#6 (6)ISSN 1987-8591,2017.;
4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ფისკალური პოლიტიკისა და მთავრობათაშორისო ურთიერთობების მიმოხილვა საქართველოში“-#5 (5)ISSN 1987-8591,2016.;
5. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კეთილსინდისიერი ქვეყის პრიორიტეტები საჯარო სახსრების მართვის სფეროში“-ნოვოსიბირსკი,21-23 აპრილი ,2016. ISBN 978-5-88742-136-0.;